



# ანუალი

მწყემსმან კეთილმან სული  
თვისი და დასტურის ცხოვართათვის  
ითან. 10—11.

№ 16

1883—1908 წ.

30 აგვისტო

ზ ი ნ ა პ ა რ ს ი.

**სალიტერატურო განცოცილება:** როგორ უნდა დაიტარო თავი ხოლერისაგან, ა. ა. საყვარელიძისა.—პროფესიონალის მოსეს-ძის პეტრიაშვილის ხსოვნას.—რენანის აზრი სახარების შესახებ.—გოლგოთისკენ, ონომფრე მწირისა.—სამედიატორო სასამართლო .—ახალი ამბები და შენიშვნები.

**საზოგადო და გეცნიერება ქრისტიანობის საჩვენებებასა და კეთილ-ჯეორგიზე:**—წიგნი რიცხვთა.—განცხადებანი.

## როგორ უდია დაიცარო თავი ხოლო რისამართან. \*)

ჩვენს სახელმწიფოში გაჩნდა ხოლერა. თუმცა ეხლანდელ დროში, როდესაც ჩვენ ვიცით როგორია მისი თვისებანი და განსაკუთრებით რაშიდ იმაღება მისი გადამდები თვისება, ხოლერა არ არის ჩვენთვის ისე საშიშო, როგორც წინად იყო, მაგრამ ეს სენი მაინც ძლიერ საფრთხილოა. ხოლერა იქ, სადაც კი გაჩნდება, გასაკვირველი სისწრაფით ვრცელდება ხშირად ძალიან დიდი ნაწილი იმ ადგილის მცხოვრებთა ხდება ავათ; ავად გამხდარებში კი ნახევარზე მეტი კვდება, ამისათვის საჭიროა ადრევე მომზადება. ამ საშიშარი სტუმრის შესახვედრად მომზადებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

არც ერთ სხვა სენთან არ შეიძლება უფრო ადგილად ბრძოლა, როგორც ხოლერასთან, თუ კი მექანიზმი დაცული სიწმინდე და სისუფთავე აგადმეოფთა მოვალეობა.

\*) ეს სტატია მივიღეთ ჩვენ სტუდენტის ა. ა. საყვარელიძისაგან, რომელსაც გადაუთარებულია პროფესიონალის ვ. გისაკოვიჩის წარმოთქმული ლექციიდან. ვინაიდგან დღეს საჭარველოში გაჩნდა ხოლერა საჭიროდ მივიჩნიეთ მისი დაბეჭდვა როგორც უურნალში ისე წიგნაკად. იმედია სამღვდელოება წაუკითხავს ამ სტატიას ხალხს. და მით ცოტა სინათლეს შეიტანს მდაბალ ხალხში.

რედ.

იმისათვის, რომ მედგრად ვებრძოლოთ რომელსამე გადამდებ სენს, საჭიროა იცოდეთ მისი წარმოღვენის მიზეზი, რასზი მღვმარეობს მისი გადამდებლობა და როგორია საზოგადოდ მისი თვისებანი?

ჯერ კიდევ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვენ არაფერი არ ვიცოდით ხოლერის გადამდებობაზედ, მაგრამ, საბედნიეროდ, შესაძლო შეიქმნა მისი გამოკვლევა და მისი თვისებების შესწავლა. მე სწორედ მსურს ეს გამოკვლევა გავაცნო მკითხველს და იმ ზომებზედ მიუთითოთ რომელიც საჭიროა მიიღონ ხოლერის დროს.

ხოლერა გადამდები და გამყოლი სენია. სამუდამოდ ის სცხოვრობს ინდოეთში, ძალიან შორს ჩვენგან, მაგრამ ყოველთვის, როცა ის ჩვენში ჩნდება, იქიდან გაღმოაქვთ ხოლმე ან თვით ავადმყოფთ და ან მათ ავეჯს. ის გარემოება, რომ ის მუდამ ინდოეთში ცხოვრება, მაშინ როდესაც ჩვენში დროებით ჩნდება და მალე ქრება, დამოკიდებულია ბევრ სხვა და სხვა პირობებზედ.

ჩვენ ვიცით, რომ ხოლერის მუდშივი სამშობლო ნოტიო და ტბიანი ადგილია. მცხოვრები ამ ადგილებისა ძალიან უსუფთაონი და ცოტა მოთხოვნილებისანი არიან. ერთი და იგივე ტბის წყლით ინდოელი სარგებლობს როგორც სამშენებლო აგრეთვე საცვლების სარეცხადაც; ჩეკე ჩაის სხვა სახელმწიფო ტბის და მისი სამშენებლო აგრეთვე საცვლების სარეცხადაც;

და სხვა სიბირშურე და ამით, უკეცელად, ხოლორა სამუდამოდ იმაგრებს ფეხს. ჩვენში კი, სადაც მის წინააღმდეგ ვღებულობთ სხვა და სხვა ზომებს და სადაც სულ სხვა ჰყავია, ხოლორას დიდხანს ცხოვრება არ შეუძლია.

ხოლორა ჩნდება კუჭის ძლიერ ამგვრევით— ფალარათით და პირის ღებით, მაგრამ არა ყველას ერთნაირად: ზოგს უფრო სუსტად—ზოგს კიდევ უფრო მძიმედ—ერთს ემართება უცებ—მეორე კი ნამდვილ ხოლორამდი ერთი, ორი ან რამოდენიმე დღის წინეთ გრძნობს კუჭის არევ დარევას (НЕИСПРАВНОСТЬ) ბაცილას. ზოგი ორი-სამი საათის შემდეგ კვდება, ხან და ხან კი ავადმყოფობა ერთ კვირას და მეტაც გრძელდება. ნამდვილი ხოლორა იწყება ძლიერის და ხშირის ფალარათით. ნავალი (ИСПРАЖНЕНИЯ), თუ თავიდან ყვითელი ფერისა არის, მალე ხდება სულ უფერული, მღვრიე, წყალივით პატარა კურკუშალებით; დაემჯვანება ხოლმე ბრინჯის ნახარშს და თითქმის სუნი არ უდის; იშვიათად ხდება, როცა ნავალი არის ხოლმე სისხლით შეფერილი ვარდის ფრად; მაგრამ ისეთი მუქი სისხლისებური ნავალი, როგორიც იცის მუცელამ, ხოლორის დასაწყისში არასოდეს არ არის ხოლმე. ნავალზედ გაყავს 30—40-ჯერ დღე და ღამეშიდ, ხანდისხან უფრო მეტჯერ; ტკივილები იშვიათად იცის.\*)

ფალარათს მალე მიემატება ხოლმე საშინელი პირის ღება აგრეთვე წყლისებური მღვრიე სითხისა შარდი ცოტავდება და ბოლოს სულაც შეკავდება. ხშირად, თითქმის ყოველთვის ხოლორის დროს ფეხის კუთები იმანჭება—იმანჭება აგრეთვე ხშირად სხვა კუთებიც. მალე ავადმყოფი ისე სუსტდება, რომ საჭიროებისათვის ვეღარ დგება და ისვრება თავის ქვეშ საგებში-ფეხები უცივდება, თვალები ჩაუფრდება, ცხვირი ჩამოეშვება, კარგავს ხმის კრიალს, ტანზედ აღგება ციფი ოფლი, მაჯა უსუსტდება, გულის ცემა უჩერდება და კაცი კვდება.

სიკვდილის წინ ტემპერატურა ტანისა დაიწვევა ხოლმე; სიკვდილის შემდეგ კი ხშირად უცებ აიწვეს ხოლმე. ამასთანავე ნიშნავთ კუთების ძლიერ

\* )ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება მაგალითი (შემთხვევა) უფალარათო ხოლორისა. ამ შემთხვევაში წელებში მაინც იმყოფება დღიდალი სითხე ბრინჯის ნახარშის მეგაცი.

გაფშიკებას. ეს სიკვდილის შემდეგი ტანის და მაცდური განძრევა სხვა და სხვა ტანის ლებისა, რომელიც შედეგია გაფშიკებული შუსკულების თან და თან გასუსტებისა, არის მიზეზი მისა, რომ ცრუ მორწმუნენი ფიქრობენ, რომ ხალხს ცოცხლად მარხავენთ.

თუ საქმე მორჩენისაკენ მიღის, მაშინ ფალარათი კლებულობს, პირის ღება ისპობა; შარდი ისევე იწყებს დენას და ავადმყოფი რამოდენიმე დღეში ჩება. მაგრამ ხანდისხან მორჩენა გრძელდება. სწორს უჩნდება სხვა და სხვა ავადმყოფობა; როგორიც არი: ხურვებისებური მღვომარეობა, ფალარათი სისხლით ან კიდევ სხვა, ავადმყოფებს რომელთაც თავის თავათაც შეუძლიათ ჩაიყვანონ ავადმყოფი სამარეშიდ.

ერთხელ ვინც გაღიტანს ხოლორის, ის მეორეთ მით არ გახდება ავათ, მაგრამ, თუ კი რამოდენიმე წლის შემდეგ კვლავ გაჩნდა ხოლორა, ის კიდევ შეიძლება გახდეს ავათ.

მრავალგზის დაკვირვების შემდეგ გამოირკვა, რომ ხოლორიან ავადმყოფს წელებში აქეც გადამდები ძალა. ხოლორის დროს წელებში ვრცელდება ურიცხვი პატარ-პატარა სულდგმულები, რომელთაც „ბაქტერიებს“ ეძახინ; უბრალო თვალით მათი დანახვა შეუძლებელია; მათი დანახვა შესაძლოა მხოლოდ ძალიან გამაღიღებელ მინებ ქვეშ (მიკროსკოპში). ამასთან თითო რომ გააღილო 1000-ჯერ, წარმოგვიღება პატარა—წვრილი ბრჩებილების (კავიყკა), რომელიც გვანან მსგავსი მძიმეებს (ვაპეთა) წიგნში. ეს ბაცილები, რომელიც გამოაჩინა შესანიშავმა გერმანელმა მეცნიერმა კოხმა, მრავლდებიან გასაკვირველ სისწრაფით: ერთისაგან ერთ დღე და ღამეში ჩნდება ბევრი მილიონი მგზავის ბაქტერიებისა; ხოლორიანის ნავალის პატარა წვეთში ისინი არიან რამდენიმე ასიათასი. საკმარისია ორი—სამი ამისთანა ბაცილა ჩაიგიდეს კაცის წელებში, რომ მალე გამრავლების შემდეგ გამოიწვიოს ხოლორა. თუმცა ყოველ მრთელ ადამიანსაც დღიდან დაბალებისა წელებში ბევრი სხვა და სხვა ბაქტერიები ჰყავს, მაგრამ ეს

უკანასკნელნი სულ ხვა ჯურისა არიან; კაცისათვის ისინი უვნებელნი—ზოგი კი მარგებელნიც არიან. ხოლერის ბაცილები ჩნდებიან მხოლოდ ხოლერის დროს და სხვა რამე სენის დროს არასოდეს არ არსებობენ. ზოგ ხოლერიანის ნავალში ისინი ბლომად არიან, ზოგში კი ნაკლებად, მაგრამ უამათოთ კი არ შეიძლება რაც უნდა სუსტი ხოლერის ფალარათი იყოს, ბაცილებს შეუძლიათ გადადვან სენი ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი რამე გზით პირიდან და კუჭიდან წელებში მოხვდებიან. ხოლერის დროს მათი გამოჩენა შეიძლება მხოლოდ წელებში. ისინი არ არსებობენ ავაღმყოფის სისხლში, შარდში, ოფლში და ჰაერში. სხვა რამე ცხოველთათვის ისინი უვნებელნი არიან.

უნდა შევნიშნოთ, რომ ავაღმყოფობის მოვლენას იწვევს არა თვითონ ხოლერის ბაცილები, არამედ ის შხამი, რომელსაც ისინი ამრავლებენ წელებში. ეს შხამი ახელებს (раздражаетъ) წელებს, იწვევს ფალარათს და, უჯდება რა სისხლში, სწამლავს ადამიანს. ამავე დროს ძლიერ სასტიკად მოქმედობს ავაღმყოფზედ ფალარათისაგან გამოწვეული სისხლის შეკუმშვა, რის გამოც ძლიერ ძნელდება სისხლის ძარღვებში მოძრაობა.

გამოკვლევმ გვაჩინა, რომ ხოლერის ბაცილებს კარგ წყალშიდაც შეუძლიათ იცხოვრონ ერთ თვემდის. აქედან ნათლად სჩანს რა მავნებელია ხოლერის დროს მდინარე წყალში სარეცხის რეცხა და ფეხისადგილების ჭებთან ახლოს დადგმა. მართლაც გამოკვლეულია, რომ ხოლერა გადაღის (ედება) უმეტეს ნაწილად წყლის საშვალებით და ვრცელდება მდინარე წყლის დაყოლებაზედ. ხოლერიანის ნავალში ბაცილებს შეუძლიან იცხოვრონ ერთ თვემდის. ამისათვის ხოლორიანის ნავალით და პირის ნაღებით გასვრილი საცვლები და ტანტასაც არის გადამდები წყარო. სწორეთ ამით აისხნება ის გარემოება, რომ მრეცხელი ქალები შედარებით ხშირად ხდებიან ავათ ხოლერით. წყლის გარდა აგრეთვე შეიძლება ხოლერა გადაედვას კაციდან კაცს სხვა და სხვა ამანათების (вещьи) და საჭმელ სურსათის საშვალებით. იქ, სადაც არის ხოლერიანი, ახლო მყოფთა უსუფთაობის გამო ბაცილებს შეუძლიათ ადვილად ჩა-

ვარდენ რძეში, დააჯდენ მწვანილს და სხვა რამე სურსათს. ვინ მოგცემს მის პირობას, რომ მერძევე, რომელიც უვლიდა ხოლერიანს, თარგამოწველის ძრობას გასერილი ხელებით? ამასთანავე ვინ არ იცის, რომ ჩვენს სოფლებში ხშირად ფეხისადგილები სულ არ არსებობენ და მცხოვრები დიდ საჭიროებისათვის გარედ მიღიან? თუ კი მოვიგონებთ, რომ ერთ ხოლერიანის ნავალს უვება იმდენი გადამდები ბაცილები, რომ ძლიერ საჭმერისია მოვდებას მთელ ქალაქს თუ კი სხვა და სხვა აღვილს გადვიტანთ, მაშინ უველასათვის ცხადია ხოლერის ასე სისწრაფით გავრცელების. მიზეზი. თუ ნავალი მალე გახმა, მაშინ გადამდები თვისება იკარგვის—ბაცილები კვდებიან. სანამ ბაცილები ნოტიონ (სოველ) აღვილს იმყოფებიან, მათ არ ძალუძო მაღლა აიწიონ და ჰაერში ფრენა იწყონ, თუ გახმენ და მტვერთან ერთად ჰაერს შეუერთდნენ, მაშინ ისინი კაცისათვის უვნებელნი არიან. აქედან გამოდის, რომ ჩვენდა საბედნიეროდ, ხოლერა ჰაერით არ გადაღის. ამასთანავე საჭიროა ვიცოდეთ, რომ ხოლერის ბაცილის მოკვლა შეიძლება სხვა და სხვა საშუალებით. თუ წყალს გავათბობთ აღუღებამდის (60°Ц), მას მოესპობთ; კარბოლის სიმუავე, სულემა, სხვა და სხვა სიმუავეები, განსაკუთრებით მარილი, (соляная), სულ ცოტათ გარეული წყალში, აღვილად ჰკლავს ხოლერის ბაცილას, ამნაირადვე მოქმედობს კირის რძე (известковое молоко), შაბიაბანი (купоросъ) და სხვ. ეს გარემოება დიდ მნიშვნელოვანია. აქედანა სჩანს, რომ თუ პირველი შემთხვევა ხოლერისა დროზედ იქმნა შენიშნული მაშინ ამ ზემო მოხსენებულ საშვალებათა მეოქებით შესაძლოა ის გადამდები ბაცილები, რომელიც ხოლერიანის ნავალს და პირის ნაღებს უვება ამით შეაჩერო სენის შემდეგი გავრცელება. ამავე მიზეზის გამო გვირჩევენ—ხოლერის დროს მოუღუღებელ რამეს და გაუთბობელს ნუ სვამთ და ნუ სჭამთ.

განა მართლა ასე საფრთხილოა ხოლერის დროს მოუხარველი რამეს ჭამა? ბევრი აკი კიდევაც ჭამს და კიდევაც სვამს, მაგრამ ავათ კი არ ხთება? საჭიროა გავიგოთ რად არის რომ ერთი ხდება ავათ ხოლერით და მეორე კი არა. ეს აისხნება ხოლერის ბაცილების თვისებით. მას არ შე-

უძლიან გადიტანოს რამე სიმჟავე, (კისლოთა); მრთელ კაცის კუჭში კი ყოველთვის იმყოფება მარილის სიმჟავე, საჭირო საჭმელის მოსანელებლად. კუჭის წვენში (ჯელუდიჩნია) სიმჟავე ცოტაა, სულ 1000 ნაწილზე ორი (2) ნაწილი, მაგრამ ესეც საკმარისია, რომ  $\frac{1}{4} - \frac{1}{2}$  საათშიდ მოსპოს ხოლერის ბაცილა. ადვილად გასაგებია აქედან ის, რომ ხოლერის ბაცილა კიდევაც რომ ჩავიდეს კუჭში, თუ ეს კუჭი მრთელია, იღუპება, თუ კუჭი ავადმყოფია — სიმჟავეც ნაკლებია; ხან და ხან სულაც აღარ არის, რის გამოდაც ბაცილა კუჭშიდ აღარ კვდება. აი სწორედ ამიტომ უფრო ხშირად ხდებიან ავათ ის პირნი, რომელთა კუჭი მოშლილია (разстроехныи) ცუდი სანოვაგით მწვანილით, კვასით, ხევლით თვეზით და სხვა ძნელად მოსანელებელ საჭმლით, ან კიდევ ბევრი სპირტიანი სასმელებით. გარდა ამასა სხვა მიზეზების გამოც შეიძლება ხოლერის გადაღება იმ შემთხვევაშიდაც, როდესაც კუჭი მრთელია. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საჭმელი კუჭში მოსანელებლად რჩება, საზოგადოდ 2—3 საათს. ეს დრო ძლიერ საკმარისია, რომ მოისპოს ყველა ბაცილები, რომელნიც მოხვდენ კუჭში, მაგრამ თუ კი კუჭი რამეთი ოდნავ გახელებულია, ის 2—3 წამის შემდეგ საჭმლის მიღებისა იკუმშება და ერეკება საჭმელს წელებში. აქ კი მრთელ კაცსაც არა აქვს სიმჟავე და თუ ამ საჭმელთან ერთად ხოლერის ბაცილაც იყო, ის ცოცხალი შედის წელებში; აქ მრავლდება და ერთი ან ორი დღის შემდეგ იწვევს ხოლერას. ამით აისხება ის გარემოება, თუ რაღ არის საფრთხილო ხოლერის დროს ჭამა მწვანილისა, ხილისა, დამარილებული თვეზისა და სხვა ძნელად მოსანელებელ საჭმლისა; არა იმიტომ მხოლოდ, რომ ამათთან ერთად ადვილია ხოლერის ბაცილის გადაყლაპვა, არამედ მიტომაც, რომ ამაებით კუჭი ადვილად ხელფება, იკუმშება უღროოდ და ამით ხელს უწყობს ხოლერის ბაცილების წელებში გადასვლას.

კიდევ უფრო საფრთხილოა მიღება ისეთი სასმელისა, რომელიც კუჭსაც ახელებს და ამასთანავე ძლიერ ათხელებს კუჭის წვენის სიმჟავეს, მაგალითად: საზამთროს ან ნესვის წვენი, ციფი წყალი, და სხვა და სხვა სასმელები. მაგრამ, მეორეს მხრით

აქედან იმ დასკვნის გამოყვანა არ შეგვიძლია, რომ თუ ხოლერის დროს მივიღებთ შიგნით მარილის სიმჟავეს, ამით თავს დავითარავთ. ხშირად სიმჟავეს მიღება საფრთხილოა და რამდენიც კი არ უნდა ვიღოთ, მაინც შეუძლებელია წელებში მყოფი ნაჭამი გავხადოთ მჟავედ — ეს ერთი-და მეორე ის, რომ ამით ვერ მივაღწევთ იმას, რომ ხოლერის ბაცილა აღრე არ გავიდეს კუჭიდან წელებში, თუ კი ის საჭმელთან ერთად კუჭში მოხვდა. მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში, როდესაც წყალრეილის მოსაკლავად კარგი წყალი არ არის და მისი გადადუღება კი შეუძლებელია, სასარგებლოა მიუმატოთ წყალს რამდენიმე მარილის სიმჟავე.

ზემო მოყვანილისაგან ჩვენ ვხედავთ, რომ ხოლერის გადამდები თვისება უმეტესად იმალება ხოლერიანის ნაფალში და პირის ნაღებში; მას რამდენიმე ხანს შეუძლია იცოცხლოს ნაფალში, წყალში და იმ ადგილს, სადაც ნაფალთან ერთად მოხვდა, ბევრ საჭმელ სურსათზედ, მაგრამ დიდხანს არსებობა და გამრავლება ბუნებრივ პირობებში მას არ შეუძლია. კაცს გადაედება ხოლერა ან პირდაპირ ავადმყოფისაგან (მესამე პირისაგანაც კი) ან საჭმლით, რომელიც გასვრილია ხოლერის გადამდები ბაცილებით. მაგრამ ვოველთვის გამრავლების და გადადების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს კაცის წელები და არა გარეგანი ბუნება. ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში ხოლერის ბაცილები ძლიერ აღვილი გასამრავლებელია ხელოვნურად, მაგრამ ბუნებაში კი სულ სხვა ნაირად არის საქმე. მაგალითად რეგში ხოლერის ბაცილა შესანიშნავად მრავლდება, მხოლოდ პირველ 24 საათს, მერე კი. როდესაც რეგ აიჭრება (დამჟავდება) ისინი იხოცებიან; ჭის წყალში მას არ ძალუს იცოცხლოს ერთ თვეზედ მეტი, მზეზედ ის იღუპება 1—2 დღეში და კიდევ უფრო აღრეც. აი ის მიზეზები რომელისა გამო ხოლერას არ შეუძლია ჩვენში დიდხანს არსებობა და რაც უფრო ენერგიულად მივიღებთ მის წინააღმდეგ ზომებს, მით უფრო მაღა მოისპობა იგი.

სხვათა შორის ხოლების გავრცელების საჭმეში უნდა მიექცეს ყურადღება სხვა და სხვა მწერებს. ხშირად ბუზი, დააჯდება რა ნავალს ან პირის ნაღებს, მერე გადაჯდება პურზედ ან სხვა საჭმელზედ — გადაჯვს შეუმჩნევლად ხოლების ბაცილები. მაგრამ, რადგანაც არც სისხლიდან, არც კანიდან (ცერევზ კოჯ) არ შეიძლება ხოლების გადაღება და, რადგანაც თვით ბაცილები, რაკი გახმებიან, იღუპვიან, არ შეიძლება ისეთი ბრალი დავდოთ მწერებს ხოლების გავრცელებაში, როგორც ზემო მოყვანილ პირობათ. ძალებს და სხვა შინაურ ცხოველებსაც ადვილად შეუძლიათ გაავრცელონ ხოლება.

გაგრძელება იქნება.



## ~~პროფესიონალ გასილ მოსახ-პის პეტრიაშვილის ხილვას.~~

ყველანი ვინც პეტრიაშვილზე სწერს, როგორც ყველა შენიშნავდა, სწერენ როგორ გაათავა უნივერსიტეტი, მაგრამ მისი ცხოვრების შესახებ სანამ თფილისის სემინარიას დაასრულებდა არავინ არაფერს არ ამბობს. ამისათვის მეტი არ იქნება, რომ მკითხველებს მოუთხრა მისი ცხოვრების ამბავი ტფილისის სემინარიაში. იმ დროა როგორ ტფილისის სემინარიაში შევედი ის იყო მეორე კლასში. სემინარია იმ დროს სამ კლასიანი იყო და თითო კლასში ორ-ორი წელიწადი რჩებოდნენ. უმეტესი ნაწილი გარე ბინიდან მოდიოდნ სემინარიაში, მაგრამ პანსიონშიაც ბევრნი იყვნენ. პანსიონში ყ-დ შეუძლებელი იყო მაცადინობა, რადგან უმეტესი შაგირდები თამაშობის მოტრფიალენი იყვნენ. პეტრიაშვილი ჩამო კაცი და მაცადინობის მოყვარული იყო. იმ დროს ჩვენ სემინარიაში ექიმიდ იყო პეტრე ივანეს-ძე სობოლშიკოვი, კაცი შესანიშნავი განათლების და მიმართულების. ის ასწავლიდა საექიმო საგანსაც სემინარიის უკანასკნელ ორ კლასში, ე. ი. ოთხ წელიწადში. სობოლშიკოვს ყველა მამას უწოდებდენ ისეთი გულკეთილი იყო. სობოლშიკოვმა შენიშნა ნიჭი პეტრია-

შვილში და როგორ სოხნეა, რომ სემინარიის საავტომუფოში ფელდშრის აღგილი მიეცა თხოვნა მისი სიამოვნებით აღასრულა. და სიყვარულობით კარგად მახსოვს თუ რა გულშემატკირობით ეპყრობოდა შაგირდებს ჩვენი ახალი ფელდშერი. ძლიერ კმუყოფილი იყო ბასილი თავის მდგომარეობით, რადგან ბევრი დრო ჰქონდა მაცადინობისათვის და არავინ ხელს არ უშლიდა. ხშირად ესაუბრებოდა სობოლშიკოვი პეტრიაშვილს და მისი შთაგონებით ჩაენერგა სწორეთ პეტრიაშვილს უმაღლესი სწავლის მიღების სურვილი. ჩემის აზრით სობოლშიკოვი იყო მიზეზი პეტრიაშვილის დაწინაურებისა. სემინარიის პროგრამმა სულ სხვა იყო იმ დროს. ამ პროგრამმით იზრდებოდნ რიგიანად და დინჯად. მაგრამ, სამწუხაროდ, 1866 წლიდან შეცვალეს ეს პროგრამმა და სწავლის საჭმეც სრულებით აირ-დაირია. შაგირდებს ტვინი გამოულაყეს მკვდარი ენებით და შესაჩინევი კაცების რიცხვმა სემინარიიდან თან და თან იყდო. ზოგიერთ ახალი პროგრამმის სემინარიელებმა თავის თავიც ველარ იცვნეს!.

ბასილ პეტრიაშვილი სრულებით არ გავდა იმ ზერელედ და ფუქსავატად აღზრდილ კაცებს, რომელნიც რაღაცა უცხო ენიდან გადათარგმნილს წაიკითხავენ თუ არა, რა სისულელეც უნდა იყოს იგი, მაშინვე მოდგებიან წერას და მტკიცებას, რომ სწორეთ ნამდვილია რაც დაუწერიათო. ჰერნიათ ამ კაცებს რომ ისე დააჯერებენ ყველას თავის დაწერილით როგორც გომართელი აჯერებს მდაბალ ხალხს რომ იგი ანკესით ექიმობს და არენს სწერულს კუჭის (ракე)-ისაგან და თავის ტკივილისაგან — ტვინის გამორნცხვით!..

პეტრიაშვილის დინჯაბა ხწავლა-განათლების საქმეში და მისი გონივრული მოქმედება დაინტეცველამ და დიდი პატივიც სუა დასაფლავების დროს ოდესაში. საინტერესოდ მიგვაჩნია ჩვენი მკითხველებისათვის გადმოვცემდლოთ ზოგიერთი სიტყვები წარმოთქმულნი დასაფლავების დღეს რომელნიც გაზეობდნა დაბეჭდილნი. ამ როგორი სიტყვები უთხრეს უცხოელმა კაცებმა ჩვენ ბასილ პეტრიაშვილს.

„წირვა დაიწყო დილის 11 საათზე და დაშთავრდა 1-ზე. უნივერსტეტის ეკლესია გაქცელილი იყო. დამსწრეთა ნაწილიც-კი ვერ დაიტია ეკლესია — აუარებელი ხალხით საფსე იყო კარიდორები და მახლობელი ქუჩები და ტროტუარები. 1 საათზე სტუდენტებმა კუბო გამუასვენეს. აქვე დამტკრივდნენ სხვა სტუდენტები გვირგვინებით ხელში,

აქ უნივერსტეტის სახელით განსვენებულს გამოსახოვარის სიტყვით მიმართა პროფესორმა ა. კ. მედვედიევმა.

„იმ დაწესებულებაში, — სთქვა პროფესორმა, — რომელსაც ვასილ მოსეს ძემ სიცოცხლე შესწირა, შევიკრიბენით დღეს უკანასკნელის ვალის მოსახლელად განსვენებულის წინაშე. ნიჭიერმა, სიცოცხლითა და ძალონით სავსე ჭაბუქმა შემოსდგაფები ამ უნივერსიტეტში მესამოცე წლებში, განსვენებული ერთი პირველთაგანი იყო ამ უნივერსტეტის მიერ აღზრდილთა შორის. მან თავისი მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო უნივერსიტეტის საუკეთესო ხანაში. ყველა ფაკულტეტზე საუკეთესო ძალნი იყვნენ, მაგრამ განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო საბუნების მეტყველო განყოფილება, რომლის ძალებითაც მაშინ ამაყობდა მთელი რუსთი. აი ამ მასწავლებელთა გავლენით განმტკიცდა ვასილ მოსეს ძეს ნიჭი, ამავე ღრის ჩამოყალიბდა მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეხედულებანი. განსვენებული სიკვდილამდე მედგარი და კეთილშობილი მებრძოლი იყო მესამოცე წლების საუკეთესო იდეალებით თვის“. შემდეგ ორატორი მოკლედ შეეხს განსვენებულის სამეცნიერო მოღვაწედა ღვთის ხალხზე, შესულიყო წმიდაწმიდათაში ლხინების დღეს სამსხვერპლო სისხლით, გამარცხადებინა ხალხისთვის ღვთის ნება და თვალყური ედევნებინა მისი შესრულებისათვის, თვალყური ედევნებინა ხალხის სარწმუნოებისა და ზნეობისათვის. მდგდალებს ჰქონდათ ნება შესვლისა და ღვთის მსახურებისა „წმიდაში“ ისინი ვალდებულობას, აღნიშნა, რომ იგი გამოჩენილ ქიმიკოსის ბერტელოს სკოლას ეკუთვნოდა, რომ სიკვდილის დღემდე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურის თავის სპეციალურ ლიტერატურას, და განაგრძო: „ხანგრძლივმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ განსვენებულს საერთო სიყვარული და პატივისცემა შესძინეს, ჰერიაშვილი ერთნაირად უყვარდათ როგორც ჭა-

ბუკ სტუდენტებს, ისე მოხუც პროფესორ-მხანაგებს. 37 წელიწადზე მეტ ხანს იყო განსვენებული უნივერსტეტში ჯერ ლაბორატორი, მეტე პრივატ-ლოცენტრად და ბოლოს პროფესორად. გავლენა, რომელიც ვასილ მოსეს ძემ იქონია უნივერსიტეტზე, დიდ-ხანს დარჩება ამოუფხვრელი, მომავალი ისტორიკოსი ჩვენი უნივერსიტეტისა სიამოვნებით შეჩერდება განსვენებულის ნათელ და კეთილ-შობილ პიროვნებაზე. განსვენებული მარტო მეცნიერების მასწავლებელი არ იყო, იგი უფრო მეტად ზნეობის ცოცხალი მაგალითი და მასწავლებელი იყო. ბედნიერია ის დაწესებულება, სადაც პეტრიაშვილისთანა აღმზრდელნი მოიპოვებიან. საჭირო არ არის შევეხო იმ სულიერ თვისებებს, რომელთა შეოხებითაც განსვენებულმა საზოგადო სიყვარული დამსახურა. ამას საუკეთესოდ მოწმობს დღევანდელი დარღი და მწუხარება ყველასი. მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო ვასილ მოსეს ძევ! შენი კეოილშობილი სახე მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში!“

სტუდენტების მხრივ ცხარე, გულწრფელი სიტყვა წარმოსთქვა სტუდენტმა ნ. ი. შიმკინმა.

„ძნელი, მეტად ძნელი საქმე დამაკისრებს ჩემმა ამხანაგებმა სტუდენტებმა, — სთქვა შან. — მათ მომანდვეს უკანასკნელი „მშვიდობით“ უკუთხა მოულოდნელათ დაკარგულ ვასილ მოსეს ძეს. გონება მებნევა, როდესაც წარმოვიდგენ, რომ ჩვენ შორის აღარ არის ჩვენი მეგობარ, მოსარჩევ, მამა და დამრიგებელი. ამხანაგებო! ვის ვასაფლავბთ, ვის ვაბარებთ შავ მიწას? დაუნდობელმა ბედმა საამხანაგო წრიდან გამოგვ ლიჯა ნათელი, წმინდასული. ამ ბოლო წლებში უბედურება-უბედურებაზე დაატყდა ჩვენ საბუნების-მეტყველო ფაკულტეტს: გარდაიცვალა საოცრად კეთილი პროფესორი პრედელი; სამუდამოდ გამოვეალმა პროფესორი რეპიახოვი, მტრის ტყვიაშ წაგვართვა სპეტაკი სძილის პატრონი კლდიაშვილი; ხოლო ეხლავეთხვებით დაუვიწყარ ვასილ მოსეს-ძეს. დაცარი-ელდება მისი ლაბორატორია, ბოლო მოედება მხიარულ. ამხანაგურ მუშაობას ამ ლაბორატორიის სარდაფებში, აღარ გამოჩნდება ჩვენ შორის ძვირფასი ვასილი; ვეღარ ვიხილავთ მის ჭალარათავს, კეთილ დაკვირებულ თვალებს; ვეღარ გავიგონებთ საყვარელ გამამხნევებელ ხმას. ამხანაგებო,

დავობლდით! მინდა წამოვიძახო ლ. ანდრეევის სიტყვები: „წყნარად, ადამიანი მოკვდა...“ მაგრამ არასოდეს არ მკვდება სტუდენტთა შორის განსვენებულის ხსოვნა. მწუხარებისა და დარღის, გაჭირვების და სულიერ დაძაბუნების დროს თვალ-წინ წარმოვიდგენთ შენ ძვირფას სახეს, დაუვიწყარო პროფესორო, ჩვენო მეგობარო, დამრიგებელო, და ეს შვებას მოგვანიჭებს. მიიღო უკანასკნელი „მშვიდობით“ ოდეის სტუდენტბისაგან იმ ალექსისა და დანაგრძნობისათვის, რომელსაც შენ ყოველთვის გვიწევდი.“

სიტყვები წარმოთქვეს კიდევ სტადნიცებიშ და ანდრეევმა. შემდეგ ცხედარი ქუჩაში გაასვენეს და პროცესია გაემართა სასაფლაოსაკენ. კუბო მთელი გზა სტუდენტებს და მუშებს მიჰქონდათ. პრცესია-ში, აუარებელ სტუდენტების, მუშების და ხალხის გარდა, იყვნენ: ქვრივი განსვენებულისა, რექტორი უნივერსტეტისა, ოდესის ქალაქის თავი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, უურნა-გაზეთების წარმომადგენელი, წარმომადგენელი კიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს კრებისა კ. აბაშიძე, პროფესორები, მასწავლებელნი და სხვანი. როდესაც სასფლავოს მიუხსლოვდნენ. კუბო სტუდენტებს პროფესორებმა ჩამუართვეს. საფლავთან კუბო მაღლობზე დასდეს და კიდევ დაიწყეს სიტყვები პატარა, მაგრამ მეტად გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მიხაილოვმა: იგი შეეხო იმას, თუ როგორ უყვარდა განსვენებულს სტუდენტობა და როგორ მამაშვილურად ეცყრობოდა მას. მიხაილოვის სიტყვის დროს დამსწრეთა შორის მწარე ქვითინი გაისმოდა. სთქვეს სიტყვები კიდევ ქართელმა სტუდენტებმა ლომთაძემ და მდივანმ.

საუცხოვო, ლამაზი სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის მოწაფემ, ცნობილმა კიშინოველმა საზოგადო მოღვაწემ, ექიმმა ლოროშენსკიმ.

„შენს კუბოს წინაშე, ძვირფასო ვასილ მოსეს ძევ,— სთქვა სხვათა შორის დოროშევსკიმ,— სტირის მწარე ცოლი, ცრემლს ღვრის ოდესის უნივერსტეტის სტუდენტობა, რომელმა დაკარგა საყვარელი მეგობარი და მამა, სტირის შორეული, მაგრამ შენთვის მუდამ მახლობელი მშობელი საქართველო, რომელსაც სამუდამოდ განშორდა თავისი საუკეთესო შვილი. სტირინ შენი ამხანაგები და მეგობრები, აუარებელი შენი მოწაფენი და ოდესის მოქალაქენ. სტირის ყველა ის, ვინც ოდესმე

მოგვარებია, ვისაც ოდესმე საქმე ჰქონია შენთან. გარდაიცვალა ვასრლ პეტრიაშვილი, გარდაიცვალა პროფესორი, რომელის პიროვნებაშიაც შეერთებული იყო სწავლული და სულიერი სიმაღლე, სიძლიერე და უზომო სიყვარული კაცისადმი. შენ მარტო მასწავლებელი არ იყავი ჩვენი, შენ ჩვენი ნუგეშის მცემელი იყავი. შენ ამშვიდებდი, აწყნარებდი ჩვენ დაკოდილ, დადარდიანებულს გულს. გულწრფელად ნათქვაშ ორიოდე სიტყვით ახერხებდი ბოროტების აღმოფხვრას ჩვენში. მაგრამ ჩვენთან ერთად, ჩვენი ტანჯვის დამნახვი, შენც იტანჯებოდი. ჩვენი ტანჯვა და ტანჯვა უზარმაზარ სამშობლოსი საკუთარ ტანჯვად მიგანდა. ცხოვრების გზაზე ბევრი ეკალი გადაეცელობა წინ, ჩაგრამ არასოდეს არ გილალატნია ერთხელ არჩეულ იდეალისთვის. შენ წახვედი, მაგრამ შენი ნათელი სახელი ჩვენ შორის დარჩება. მშვიდობით, ძვირფასო, საყვარელო ვასილ მოსეს ძევ“!

### რეანის აზრი სახარების შესახებ.\*)

რაც შეეხება იესო ქრისტეს მოძღვრებათა (სიტყვათა) გარეგანს ფორმას, პირველს სამს სახარებაში მართლაც მოთავსებულია იგავები, უბრალო, მდაბიო, აღვილად გასაგები ენით მოთხრობილნი; მეოთხე სახარებაში-კი, მაცხოვრის სიტყვა ფრიად ამაღლებული და დიადია. მაგრამ სამთავე სახარებაში ნაჩვენებია, რომ იესო არა კმაყოფილდებოდა მხოლოდ იგავებით, არამედ მოძღვრების სხვანაირ ფორმასაც ხმარობდა. ერთხელ მოციქულებმა ჰკითხეს იესოს; რასათვის იგავით ეცყვი მათ (ხალხს)? იესომ მიუგო: თქვენდა მიცემულ არს ცნობად საიდუმლო სასუფელებლისა, ხოლო მათ არა მოცემულებას (მათე. 13,10—11. შეად. მარკ. 4,11)— გარეშეთა მათ უოველივე იგავით სიტყვად; და ამის შემდეგ ორთავე მახარებლები შენიშვნენ, რომ იესო ხალხს სულ იგავებით ელაპარაკებოდა, ხოლო თვისთაგან მოწაფეთა გამოფარგმნის იგი უოველი (მარკ. 4,33—34; მათე 13,34). ამ რიგად, ქრისტეს სიტყვანი, მოციქულთა და ხალხთან მიმართულნი განირჩეოდნენ ერთმანეთისგან გარეგანი ფორმით; მაცხოვრის ამ ქადაგება მოძღვ

\*) იხ. „მწევების“ № 13—14 1907 წ.

რებათაგან იოანეს აქვს დაცული ამაღლებული მოძღვრებანი, ხოლო სამს მახარობელს—იგავნი. თვით იოანე მახარებელი ამობს, რომ გრძელი გამოსათხოვარი სიტყვის შემდეგ, რომელიც მაცხოვარმა წარმოსთქვა მოციქულთა წინაშე, მათ უთხრეს: აქ ამ განცხადებულად იტყვი და იგავს არც ერთსა არა იტყვი (იონ. 16, 29), მაშასადამე, იესო ყოველთვის არა ხმარობდა იგავებს. ამ რიგად შესაძლებელი ყოფილა, რომ მაცხოვარს ისეც ელაპარაკნა, როგორც მათე მახარებელი გადმოგვცემს და ისეც, როგორც იოანე.

რაც შეეხება იესოს სიტყვათა შინაარსს, პირველს სამს სახმრებაში ბევრი იმნაირი წარმონათქვამია დაცული, რომლებიც სახარებით ეთანხმებიან იოანეს სახარებაში მოყეანილს იესოს სიტყვას, მგ. იესოს სიტყვები მისს ღვთაებრივს ღირსებაზე და მამა ღმერთთან დამოკიდებულებაზე—იხილე მათე 11, 29 (შეადარე ლუკ. 10, 22); მათე 9, 4 და შემდ. მარკ. 2, 8 და შემდ. ლუკა 5, 22 და შემდ.); მათე 16, 16 და შემდ. 21, 37 (შეად. მარკ. 12, 6 ლუკ. 20, 13); მათე 22, 41 და შემდ. (შეად. მარკოზ 12, 25 და შემდ. ლუკ. 20, 41 და შემდ.); მათე 25, 31 და შემ. 26, 64 (შეად. მარკ. 14, 62) მათე 38, 18 და შემდ. ლა სხვ. ყველა ზემო მოყვანილი აღილები ცხად-ყოფენ, რომ მაცხოვრის სიტყვები პირველს სამს სახარებაში შინაარსითაც არ ეწინა-აღმდეგებიან იოანეს სახარებაში დაცულ სიტყვებს.

სიტყვები სიფელი, ჰეშმარიტება, ცხოვრება, ნათელი, ბნელი იმავე აზრით იხმარება პირველს სამს სახარებაშიც, როგორც მეოთხეში. აი მაგალითები; იესომ ერთხელ უბრძანა თავისს მოკიქულებს: თქვენ ხართ ნათელი სოფლისა; ვერ ხელეწიფების დაფარვად ქალაქსა, მთასა ზედა დაშენებულსა; არცა აღანთიან სანთელი და დასდგიან ქვეშე ხვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა და პნა-თობან იგი ყოველთა, რომელი იყვნიან სახლება შინა. ეგრეთ პბრწყინევლინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენინ კეთილნი და აღიდებდენ მამასა თქვენსა ზეცათასა. (მათე 5, 14—17); სანთელი გრამისა არს თვალი, უკეთუ თვალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გვამი შენი ნათელ იყოს; ხოლო უკეთუ თვალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გვამი შენი ბნელ იყოს. უკეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი

იგი რაოდენმე მთესვარის იგავის ახსნაზე მაცხოვარი მათეს სახარებაში ამბობს: რომელი სოფელის თესლისა კეთილსა ძე კაცისა არს; ხოლო აგარაკი სოფელი არს (მათე 13, 37). მათე მახარებელს მოყავს შემდეგი სიტყვები ისაიას წინასწარმეტყველებიდან: ერი, რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დადი და რომელნი სხდეს სოფელსა და აჩრდილთა სიგვა-დილისათა, ნათელი აღმოგბრწყინდა მათ. (4, 16); იგივე მახარებელი გაღმოგვცემს, რომ იესოს მტ-რებმა მიუვლინეს იესოს მოწაფენი მათნი შემდეგი სიტყვებით: მოძღვარ ვიცათ; რამეთუ ჰეშმარიტ ხარ, და გზასა ღმრთისათა ჰეშმარიტად ასწავებ. (22, 16). იმავე აზრით, როგორც იოანე, ესეიგი, მეტაფორულად ხმარობს იესოს სიტყვას ცხოვრება. ვრცელ არს ბეჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰყავს წარსწევებულად, იწრო არს ბეჭე და საჭირველ-გზა, რომელი მიიყვნებს ცხოვრებას (7, 13—14.) უკეთუ ხელი შენი, ანუ ფერხი შენი გაცუნებდეს შენ, მოიკვეთე იგი, და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა შესვლა ცხოვრებას მკელობელისა, გინა უხელოსა, ვიღრე ორნი ხელნი და ორნი ფერხნი თუ გესხნენ და შთავარდე ცეც-ხლსა მას საუკუნესა (18, 8); ერთს კაცს იესომ უბრძანა: უკეთუ გნებავს ცხოვრებას შესვლა. დაი-მარხე მცნებანი (19, 17).

იოანეს სახარების განსხვავება პირველი სამი სახარებისგან ადვილად გასაგები და ასახსნელია ჩვენთვის, თუ ყურადღება მივაქციეთ იმ მიზეზებს და გარემოებათა, რომლებშიაც დაიწერა ეს სახარება.—პირველი საუკუნის დამლევს მცირე აზიის ეფესოში, სადაც სცხოვრებდა იოანე მოციქული, განდა ახალი მოძღვრება, რომელსაც ეწოდებოდა სახელად გნოსტიციზმი. ამ მოძღვრების მიმიდევარნი უარყოფდნენ იესოს ღვთაებას, მისს თანაარსებას მამასთან; ეს მოძღვრება ფეხს იკიდებდა ქრისტიანებში, ამ მოძღვრებას ებრძოდა იოანე მახარებელი; მეორე აზიის ეპისკოპოზებმა სოხოვეს მას, რომ თავისი ზებარი ქადაგება გნოსტიკო საწინა-აღმდეგოთ მიმართული, მას დაეწერნა, მიეცა მათ-თვის სახელმძღვანელოდ, რაღანაც პირველი სამი სახარება სახვებით არ აკმაყოფილებდა მათ: მო-ციქულმა იოანემ აღუსრულა თხოვნა ეპისკოპო-

სებს და ამ რიგად წარმოსდგა მეოთხე სახარება. ამიტომ არის, რომ ამ სახარებაში გვხვდება იქსოს იმ გვარი მოძღვრებანი, რომელშიაც გამოთქმულია აზრი მისს ღვთაებრივობაზე, მამა ღმერთთან ერთ-არსებაზე და მისს პიროვნებაზე. ეს მოძღვრებანი იქსომ წარმოსთქმა იერუსალიმში, საცა ბლომად იყვნენ სწავლულები, მწიგნობრები, რომლებიც ითვლებოდნენ ხალხის მეთაურებად და უკარდათ დავა და კამათი; ისინი ხშირად ლაპარაკის ღროს აძლევდნენ იქსოს კითხვებს და ითხოვდნენ განმარტებას, იქსოც უხსნიდა და აი ამიტომაა, რომ ამ სახარებაში იქსოს მოძღვრებანი მოყვანილია საუბრის ფორმით. პირველი სამი სახარება კი აგვიწერს იქსოს მოქმედებას უმთავრესად გალილიაში, აქ გაუნათლებელი და გულუბრიყვლო ხალხი მოწიწებით და მოკრძალებით ყურს უგდებდა მაცხოვრის სულის დამატებობელს მოძღვრებას; როგორც გაუნათლებელი ხალხი, გალილეველები უფრო ადვილად შეითვისებდნენ იქსოს მოძღვრებას იგავებით და შედარებებით განმარტებას. ამიტომ არის აქ მაცხოვრის ქადაგება-მოძღვრება მონოლოგიური სახით მოთხრობილი. ასე ადვილად აიხსნება სამს და მეოთხე სახარების შორის განსხვაება მისთვის, ვინც არ არის გატაკებული ყოვლისავე უარის ყოფის სენით.

რენანი მაინც დიდი განციფრებით კითხულობს, როგორ შესძლო უბრალო გალილეველმა მეოზურმა, ზებედეს ძემ ითანებ ამ გვარი განუენებითი მეტაფიზიკის ლექციების წერაო? ამზე რენანს უპასუხებდნენ, რომ ღმერთმა ბევრი რამ დაფარა ბრძენთავან და გამოუტადა ყრმათა (მთე 12,25) და თანაც ეკითხებიან, იქნება იცოდეს, რომელ ფაკულტეტზე მიიღეს განათლება ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმა, რომელთა ნაწერებში ბევრი ფრიად ამალებული სიტყვებია, ან სად ისწავლეს უძველესმა საბერძნეთის ფილოსოფოსებმაო?

მახარებლებს სახარებაში ხშირად მოყავთ ძველი აღთმიდგან სხვა და სხვა წინასწარმეტყველებანი, რომელებიც შეიხებოდნენ მესიას და აღსრულდნენ კიდეც ქრისტეზე მისს ქვეყნად ყოფნის უამს. წინასწარმეტყველების მოყვანმ შემდეგ მახარებელ.

ნი დასძენენ, რომ „აღსრულდა წერილია“. რენანს, რასაკვირველია, არ მოსწონს წინასწარმეტყველებანი და ამბობს, რომ მახარობელებმა თვითონ მიაწერეს მესიური და საწინასწარმეტყველო აზრი ძველი აღთქმის საღვთო წერილიდან იმ ამონაწერებს, რომელებიც მათ მოყავთ სახარებაში იქსოს მესიური ლირსების დასამტკიცებლად- ან კიდევ თვით მახარობლებმა გამოიგონეს სხვა და სხვა მოთხრობები მესიურ წინასწარმეტყველებაზე მიხედვით. რენანის აზრით მახარობლები ასე მსჯელობდნენ: „მესია ფალდებულია ქმნას ესა და ეს; იქსო არის მესია; მაშასადამე, იქსომ ქმნა ესა და ეს; „ან კიდევ ამ რიგად:“ ესა და ეს დაემართა იქსოს; იქსო არის მესია; მაშასადამე, ეს უნდა დამართოდა მესიას.“ არის ერთი გერმანელი მეცნიერი ჰაუსრატი, რომელსაც გერმანელ რენანს უწოდებენ; ესეც ეხება მაცხოვრის შესახებ წინასწარმეტყველებას, მაგრამ სულ სხვას ლაპარაკობს, ვიდრე ფრანციელი რენანი. ამ ჰაუსტრატის აზრით, მახარებლებს სახარებაში არ მოყავთ იქსოს შესახებ არც ერთი იმისთანა წინასწარმეტყველება, რომელიც რომ თვით ებრაელ რაბინებს არ განემარტებინათ და არ ახესნათ, როგორც მესიის შესახებ წინასწარმეტყველება- ჰაუსრატის სიტყვით, ყველა რაბინები ამბობენ, რომ „ყველა წინასწარმეტყველები წინასწარმეტყველებენ მესიის დღეთა შესახებ“. ამის საფუძველზე რაბინებმა შეადგინეს მთელი წყება თვისებათა, რომლებიც კერძოთ ეკუთვნოდნენ მესიის პიროვნებას. რომ მესიის შობის წინ გამოჩედებოდა მისი ვარსკვლავი, ეს მათ ისწავეს ბალამის სიტყვებიდან იაკობის ვარსკვლავის შესახებ. ისაიალან მათ დაამტკიცეს, რომ მესია გამოვა დაიგითის სახლიდან; მისი ბეთლემში დაბადება აღმოაჩინეს მალაქიას წინასწარმეტყველებაში; რომ ის უქადაგებს გალილიაში წარმართო, ეს მათ იცოდნენ ისაიას წინასწარმეტყველებიდან; რომ ის შექმნის ახალს ტაძარს, ეს სჩანდა ზაქარიას წინასწარმეტყველებიდან“. საიდან შეეძლოთ სცოდნიდათ მახარებლებს ის, რაც უნდა ექმნა შესიას, თუ წინადვე, მათ ღრომდე არ ყოფილიყო გარკვეული და მტკიცელ განმარტებული ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებანი მესიის შესახებ?—არც ის აზრია მარ-

თალი, ვითომც მოციქულებს შეედგინოთ სახარების მოთხოვბები წინასწარმეტყველებებზე მიხედვით; რადგანაც როგორც რენანიც არ უარ ჰყოფს მაცხოვრის გარდაცვალებისან 20—30 წლის მერე გაჩნდა პირველი ჩაწერილი ამბები მაცხოვრის შესახებ; მაშინ კი ცოცხლები იყვნენ ბევრი მაცხოვრის მომსწრენი და უთუოდ ამხელლენენ სიყალბებს; თვით ლუკა მახარებელი სწერს, რომ იგი სწერს უკვე უცვლასოვის ცნობილს, კეშმარიტად მომხდარს ამბებს. არ მოსწონს რენანს სახარებაში სასწაულებიც, მაგრამ ამაზედ სიტყვა იქნება ქვევით.

სახარებათა განხილვის შემდეგ რენანი ამბობს: „საზოგადოდ, ოთხს საყველთაო სავალდებულო სახარებას მე ვცნობ ნამდვილებად“. როცა რომელსამე წიგნზე ან ხელთ ნაწერზე ამბობენ, რომ ის ნამდვილიაო, ამით აღნიშვნენ, რომ ის წიგნი ანუ ხელანაწერი ეკუთვნის იმ პირს, იმ ავტორს, რომელის სახელიც ზედ აწერია. მაშასადამე, რენანიც სკნობს, რომ მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებანი კეშმარიტად და ნამდვილად ეკუთვნიან ამ მახარებლებს და მათგან არიან დაწერილნი. თუ ეს ასეა, რადათა სწუხცებოდა რენანი და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სახარება ყალბიაო, მათში ბევრი არეული და ერთმანეთის საწინააღმდეგო და შეცვლილ-გადაკეთებული ამბებიაო. ცხადია ერთმანეთის წინააღმდეგობა ამ ორი აზრისა; რათ ინება რენანმა მათი წარმოთქმა? აღბათ იმიტომ, რომ „ასე სჯობდა“, ან მას „ასე ჰგონია“.

პირველ საუკუნითგანვე ჩვენი ოთხი სახარება ეკალესიას ჰქონდა მიღებული იმავე სახით, როგორც ჩვენა გვაქვს; აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკალესიები სახარებას აკუთნებდნენ იმ მოციქულებს, რომლების სახელებიც მათ აწერიათ. ეკალესია უფრთხილდებოდა სახარებას, ისჯებოდა ეკალესის წარმომადგენელთაგან სასტიკად. რენანმა ვერ შეარყია ეკალეხისგან უწინდელს დროიდანვე მიღებული აზრი და შეხედულობა სახარებაზე. ამას ცხადათ ამტკიცებს ევროპის სახელმწიფოების ხალხის სარწმუნოება. არა მიმხედველი რენანისა და მათს მსგავსთა ურწმუნოთა ქრისტიანობის სარწმუნებას უფრო მეტად აქვს გადგმული ფესვები ხალხის გულში ვინებ ჩვენში.

(გაგრძელება იქნება).

### გოლობითისახ.

რა დააბამის უკვდავ სულსა გლობური  
წარმავალ და წუთი სოფლად  
უხწენელება რომ უარეს  
ხრწინელებისა შესამისალად,  
სად უკვდაფერს გადაეკრია  
წარმავლობის დადი მწარე  
და განთიადს თან სდევს მარად  
წუკდადი და ბნელი დამე?

გერა მიწავ, გერ შემიცველი  
ჩემის გულის ზენარს ტროიალის,  
გერ დაშრეტ და გერც აღმოფხვრი  
წმინდა რწმენას — ჩემს განთიადს.

ნათლისათვას თავდადება  
ადგზებული გულში ალად,  
ქრისტე დმიერთის სიტყვა-სახე  
განუგრელი იდეალად,

შტკიცე გულით ჭვარის ქვეშე  
მხედ და თავი — განწირულად,  
ეკლის გზითა სიმართლისთვის  
სულა ერთულად და ერთ სულად,  
სულის ასუფავებულად  
შრომა-ლეაწლი გრინის გულის, —  
აქა უკენი მძიმე ჭალი  
და მალაში მწარე წელულის.

რწმენით, იმსხით შეკურილი  
გით შეფერხდეს ქრისტეს გრირი,  
თუნდ შეიქნეს ბასრი ლახვრით  
სასიკვდილოდ გასაგმირი! 19

მწამს სიმართლის სამსხვერიშლო-  
ლეაწლი უქმად არ დაწება,  
უკანასკნელ, ძლევის ქამისა,  
ერთი ასად კვლავ ალსდგება.

გერა მიწავ, გერ შემიცველი  
ჩემის გულის ზენარს ტროიალის,  
გერ დაშრეტ და გერ აღმოფხვრი  
წმიდა რწმენას — ჩემს განთიადს.

გერ დამაბამ წუთი-სოფლად  
უკვდავების შოტრფიალეს;  
ნეტარებად მე არ გსახავ  
დღეს მტილსა და ხვალ სამარეს.

ონომფრე მწირი.

## საგედიაზორი სასამრთლო.

საქართველოს ექიმობის ნიკონის მოკელის საქმის გამო, სხვათა შორის, დაპატიმრებული იყო სასინდო კანტორის მოხელე დავით დავითაშვილი. ცოტა ხნის შემდეგ დაპატიმრებული განთავისუფლეს და მის შესახებ გამოძიება მოსხეს, რაღან გამოირკვა მისი უდანაშაულობა. მალე დავითაშვილმა გაიგო, რომ იგი დაპატიმრებულ იქნა ქალთა საეპარქიო სასწავლებლის მასწავლებლის ბიძინა კოჩიევის ჩვენების გამო. დავითაშვილმა სამედიატორო სასამართლოში გამოიწვია კოჩიევი, რომელსაც დააბრალა მთავრობასთან დაბეჭდება და გამომძიებელთან ცრუ ჩვენება. თავის მხრით კოჩიევი უჩიოდა დავითაშვილს — შპონის სახელი დამიგდო სახოგადოებაში. ბ-ნ დავითაშვილმა მედიატორებათ აირჩია გ. მ. ლასხიშვილი და გ. ს. რცხილაძე, ხოლო კოჩიევმა — ნაფიცი ვექილი ნიკოლაი და მოხელე ტომაევი. საქმის გარჩევამ სამდლეს გასტანა. მოწმეების ჩვენებით და ზოგიერთის საბუთით ბ. დავითაშვილმა დამტკიცა, რომ ბიძინა კოჩიევს მტრული განწყობილება ჰქონია მასთან და რომ ამის გამო კოჩიევს განზრას ცრუ ჩვენება მიუკია გამომძიებლისთვის, ვითომ დავი. თაშვილი მონაწილეობას იღებდა ექიმობის მოკელის საქმი. კოჩიევი თავს იმით იმართლებდა, რომ სხვამ მითხრა ესაო. მესამე დღეს მედიატორებთა სასამართლომ, რომელსაც თავსმჯდომარეობდა ნაფიცი ვექილი ბუქტეინი, თავის განზრი გამოცხადა, რომლით პროფესიონალ შპონიად არ სცნო კოჩიევი, მაგრამ დამტკიცებულად სცნო ის გარემოება, რომ კოჩიევს განზრას, მტრობით, შეუთხავს ისეთი ჩვენება გამომძიებელთან, რომელიც დავითაშვილს ერთობ საშიშ მდომარეობაში აყენებდა.

(„ამირანი“)

## ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* დიდი ხანი არ გაივლის, რომ საქართველოში სასულიერო უწყებაში მოხდება გადაყვან-გადმოყვანა თანამდებობის პირთა შორის...

\* \* ივლისის და აგვისტოს ჯამაგირების კრეიტი ჯერეთ კიდევ არ არის გახსნილი. ვერ შე-

ვიტყვეთ რისგან არის ესეთი დაშვევა, სამღვდელოებისა: ხაზინის დატარიელებისაგან თურცანტორის ან ეპისკოპოსების კანცელარიების დაუდევნელობისაგან? საინტერესოა ამის გაგება. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ერთ დროს სინოდილან კრედიტი გახსნილი იყო დეკემბერში და კანტორის მიზეზით მეოთხე თვეზე ძლივს გაიხსნა, ისიც ტელეგრამის მიწერის შემდეგ ჩვენგან ობერ-პროკურორის სახელზედ...

\* \* ორი თვე გადის მას შემდეგ, რომ ერთი რიგიანი წვიმა არ მოსულა შორიაპრის მაზრის შუაგულ აღგილებში, ვენახები და სიმიდი გაფუჭდენ. ვენახები და ხევბი ხმებიან...

\* \* „შინაურის მიმოხილვ-“ის მეოქვესმეტე ნოშერში ჩვენ ვკითხულობთ: „ვთხოვთ ხელის მოწერლებს დაუჩერონ ფულების გამოგზავნას თორემ იძულებული ვიქმნებით უურნალის გამოცემა დროებით შეეაჩეროთო. კარგი ხანია უურნალი აღარ გამოდის. დიდად სამწუხაროა ეს ამბავი. ნუ თუ მართლა უურნალი უსალსრობისა გამო აღარ გამოდის?. . ნუ თუ რედაქცია დაიმედებული იყო, რომ უურნალის გამოცემა ჩვენში შეიძლებოდა მარტო ხელის მოსაწერი ფულებით? დიალ, ვინ იცის, რედაქცია იქნება გამდიდრებასაც კი მოელოდა ოთხასიოდე ხელის მომწერთავან!.. არა, მამანო და ძმანო, მძიმე საქმის ხელის მოკიდებას დიდი ხნით მოფიქრება უნდა და წინ და წინ აწონ-დაწონა საქმისა და გარემოებისა...

## უცხოეთის ამბები.

ახალგაზდა თხმალთა კომიტეტის განცხადება.

\* \* ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა ხელახლად გადაჭრით უარჩყო ხევბი სულთანის ტახტიდან გადაყვენების შესახებ. კომიტეტი აცხადებს, რომ იგი წინანდებურად იმ აზრისაა, რომ სულთნის პირვენებას არ უნდა ურევლენ პოლიტიკურს ბრძოლაში.

\* \* თავრიზელმა რევოლიუციონერება ულტიმატუმი გაუგზავნეს შაჰს, რომელსაც წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნა: პროგრესიულ სამინისტროს დანიშვნა, სრული ამნისტია, გუბერ-

ნატორების დანიშნა აღილობრივ ენჯუმენების თანხმობით და დაუყონებლივი მოწვევა მეჯლისა. (რ. ვ.)

\* \* ინგლისური გაზეთები იუწყებიან: სპარსეთის ოცნელიუკის ძალა ისევ აზვირთდა. ჩრდილოეთში ხელახლად გაბატონდნენ ენჯუმენები. ოცნელიუკია ხელახლად ითვეთქებს სამხრეთშიაც, სადაც ოცნელიუკის ცენტრად გახდა ოცნელიუკიონერების მიერ აღებული ქალაქი ქერმანი. თითონ თეირანშიაც ხალხი დიდ კრებებს ახდენს, იხურება ბაზრები. ახალი სამხედრო მინისტრი ემირ-ჯენგ-ბაგადური, წრეს გადასული რეაქციონერი, უცხოელ კონსულების პროტესტის მიუხედავად, მაინჯ განაგრძობს ხალხის უსაბუთოდ დატუსაღებას და სიკვდილით დასჯას.

\* \* კავკასიის სამხატავო ოლქის მზრუნველი უარპყოფს გაზეთების ცნობას ტფილისის სასწავლებლებში სწავლის გადადების შესახებ 14 ენკენისთვემდე; ბ-ნი რუდოლფი აცხადებს, რომ სწავლა უკეთესობის 1-ლ ენკენისთვიდან დაიწყებათ.

\* \* ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ცნობა „7. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ საბჭომ ილია ჭავჭავაძის ძეგლისთვის 500 მანეთი შესწირაო.

\* \* ამას წინად გაზეთებში მოთავსებული იყო, რომ საერთო განათების სამინისტრომ დაადგინა, ექვს კლას გათავებულ სემნარიელებს ისეთივე უფლება მიეცეთ, როგორც თახეკლასიანებს, ე. ი. მათ უნდა ჩააბარონ მთელი გიმნაზიის კურსი მათემატიკიდან და ერთ-ერთ უცხო ენიდან. ეხლა ხან საერთო განათლების სამინისტროს დამატებითი ცნობა გამოუკია უნივერსტეტში მიღების შესახებ. ისინი, ვინც სხვა უმაღლეს სასწავლებლიდან უნივერსტეტში შესვლას აპირობენ, მიიღებიან საშვლო სასწავლებლის ატესტაციის მიხედვით. ამითვე იხელ-მძღვანელებენ სამხედრო საექიმო აკარემიაში.

\* \* ქალების უმზადეს ჭურჭებზე. უკვე გამოირკვა მთხოვნელების რიცხვი. სულ თხოვნა შეუტანია 2,416 ქალს, 1,072 ქალს ისტორიულ-ფილოლოგიაზე, 1,033 ფიზიკო-მათემატიკურზე, 301 იურიდიულზე. თავისუფალი ვაკანსიებია ფიზიკო-მათემატიკურზე 500, ისტორიულ-ფილოლოგიაზე 750, იურიდიულზე 600. ასე რომ 566 ქალი კურსების გარედ დარჩება. არა ქრისტიანს 492 თხოვნა შეუტანია, მიიღებენ 93 ქალს.

\* \* ამას წინად ქ. დევინსკში ქარგლები თავს დაეცნენ თავიანთ აღას მეჩემებს და ორი აბაზი წარათვეს. სასამიროლო ქარგლებს რვა წლით კატორგა გადაუწყვიტა,



## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანული სასწავლებელისა და კეთილგანებაზე.

ზოგი „რიცხვთა“ \*)

მბრაულს დაბადებაში მოსეს მეორე წიგნს ეწოდება „ვაიდაბბერ“ — „ეტყოდა“, რადგანაც ამ სიტყვით იწყობა; მათორეტებმა ამ წიგნს უწოდეს „ბე-მიდბარ“ — „უდაბნოსა“, ეს სახელწოდება აღბულია პირველი თავის პირველი მუხლიდან და შეეფერება კიდეც წიგნის შინაარსს, რადგანაც მაში აწერილია ებრაელების უდაბნოში მოგზაურობის ამბივი. ბერძნული სახელწოდება ამ წიგნისა „არითმი“ და ქართული „რიცხვთა“ აღბულია პირველი თავებიდან, რომლებშიაც აღწერილია აღრიცხვა ებრაელთა ხალხისა, ლევიტელთა და პირმშოთა.

ადგილი, დრო და მიზანი წიგნის დაწერისა. ადგილი რიცხვთა წიგნის დაწერისა აღნიშნულია თვით მასშივე: ესე მცნებანი, და სამართლიანი, და მსჯავრნი არიან, რაოდენი ამცნო უფალმან ხელითა მისესითა დასაჭირო მთაბარენი ზედა. იერი-ქთ კერძო; ეს მოხდა არაბეთის უდაბნოში ებრაელთა ორმოცი წლის მოგზაურობის დასასრულში; მიზანი ამ წიგნის დაწერისა მდგომარეობს მაში, რომ შენახულიყო მომავალ თაობისათვის სასწავლებები და სხვა სამოქალაქო და სარწმუნოებრივი კანონები.

შინაარსი წიგნისა და გაყიდვა. გარდა ისტორიული მოთხოვნებისა უდაბნოში მოგზაურობის შესახებ, წიგნი რიცხვთა შეიცავს კანონებს, რომელთაგანაც ზოგი ახლად ნაბოძებია, ზოგი კი ძეგლად მიღება.

\*) იხილე „წყემსი“ № № 14 15 1908 წ.

ბულია კანონების გამეორებაა. ეს კანონები შეტანილი ეხებიან მღვდელთა და ლევიტელთა წოდებას, დღესასწაულებს, მსხვერპლებს და აღთქმათა, მაგრამ შიგა და შიგ სამოქალაქო კანონებიც ურევია. წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. პირველი ნაწილი (თ. 1—10, 10) შეიცავს სამგზავრო სამზადისს სინა მთის ძირიდან, სატა ებრაელნი დაბანაკებულ იყვნენ. მეორე (10, 11—21)—მოგზაურობას სინადამ იორდანის ბანაკამდე, მესამე (22—36) —აღწერას იორდანესთან დაბანაკების დრო მომზარი ამბებისა და აღთქმის ქვეყანაში შესასვლელად შზადებისას.

### ნაწილი პირველი თ. 1—10, 11.

ამ ნაწილის პირველ თავებში აღწერილია გარეგანი და სამხედრო გაწყობა და გაწესრიგება ებრაელთა. მოსემ და არონმა, ლვთის ბრძანებით, თორმეტი გამორჩეული კაცის დასწრებით, მოახდინეს აღრიცხვა ხალხისა —მამაკაცთა ფრის წლიდან და უზეშთავესი, რომელთაც შეეძლოთ სამხედრო იარაღის ხმარება და აღმოჩნდა, რომ მეომრად გამოსადევი ისრაილს შორის იყო ექვსას სამი ათასი და ხუთას ორმოცდა ათი კაცი. ლევის შთამომავალნი (ლევიტელნი) არ მოჰყვნენ ამ რიცხვში, რადგანაც ისინი დანიშნულ იყვნენ კარავის სამსახურებლად, მათ უნდა გადაეტან-გადმოეტანათ კარავი მოგზაურობის დროს, დაეცვათ ყოველი მისი ჭურჭელი და სამკაული. (თ. 1.)

ამასთანავე ღმერთმა უბრძანა მოსეს და არონს დაეწყოთ ხალხი საომარი წესით. სულ წინ იდგა ბანეგი იუდეისი, რომელიც შესდგებოდა იუდას, ისაკარის და ზაბულონის ტომთაგან; ესენი იყვნენ მოწინავენი, წინ უძლოდნენ ჯარს კარავს; ზურგის ჯარს შეადგენდა ბანეგი დანის, რომელიც შესდგებოდა დანის, ასირის და ნეფთალიმის ტომთაგან; დანარჩენი რებენის და ეფრემის ბანეკები ზემოაღორ ბანაკს შორის იდგნენ. ეს ჯარი გარშემო ედგა კარავს და წარმოადგენდა სწორე ოთხუთხს; ადგილიდან ადგილზე გადასვლის დროს ჯარი ზემო აღნიშნული წესით მიღიოდნენ; შუაზე იდგა ლევიტელთა ბანაკი, რომელსაც მოჰკონდა კიდობანი სჯულისა (თ. 2.) შემდეგ ხალხის აღრიცხვისა

აღრიცხეს ლევიტელნი, რომელთაც უნდა ემსახურნათ კარავთან და მოსემ განაწესა, რომელს შთამომავალს ლევისას რა საქმე ეკეთებინა (თთ. 3—4).

ბანაკი ებრაელთა, რომელიც დაწყობილი იყო კარავის გარშემო, წარმოადგენდა წმინდა ადგილს და ამ ბანაკში მყოფნი უნდა უმწიკვლონი ყოფილიყვნენ ყოველისფრით; ამიტომ, ყოველი შემწიკვლული კეთროვნებით, თესლ-მდინარეობით კაცი თუ დედაკაცი, უნდა გასულიყო ბანაკს გარეთ; თუ ვინმემ ზარალი მიაყენა რამე მეზობელს; მას უნდა ცოდვა თვისი აღეარნა მღვდელთან და უნდა ეზღო ზარალი მისი ლირებულობის მესუთედი ნაწილის დამატებით. თუ ქმარს რაიმე ეჭვი ჰქონდა ცოლზე, უნდა მიეყვანა ცოლი მღვდელთან, რომელიც შემდეგ მსხვერპლის შეწირვისა დაალევინებდა ქალს წეალს მხილებისასა და ფიცისას. (თ. 5).

### აღთქმა ნაზარეგელობისა.

თუ რომელიმე ებრაელთაგანი მოისურვებდა განსაკუთრებითს მოღვაწეობას, მას შეეძლო დაედო აღთქმა დიდი, ანუ აღთქმა ნაზარეგელობისა. ეს აღთქმა მდგომარეობდა მაში, რომ კაცი ან ქალი ქარს ამბობდა ცხოვრების ზოგიერთა სიმოვნებაზე და თავს იღებდა მძიმე აღთქმას. აღთქმა ნაზარეგელთა იყო სამი—1, მას არ უნდა დაელია ღვინო და თაფლუჭი (დამათრობელი სასმელი) და ყოველივე რაც კეთდებოდა ღვინისგან, მაგ. ქმარი, ან შეზავებული იგი ღვინით; 2, არ უნდა გაეპარსნა, ან გაეკრიჭნა თავი და 3, არ მიჰკარებოდა მიცვალებულს და არ ეგლოვა, დედმამაც რომ დახოცოლა. შეიძლებოდა ნაზარეგელობის აღთქმა განსაზღვრული ვალითაც, ამ ვალის შესრულების შემდეგ, მას უნდა შეეწირნა მსხვერპლი და იგი თავისუფალი იყო; შეიძლებოდა ნაზარეგელობა სიკვდილამდეც; უკეთუ ნაზარეგელი ვალის გასვლამდე ლაპარლვევდა აღთქმას, მაშინ მას თმა უნდა გაეკრიჭნა, შეეწირა მსხვერპლი და ხელახლად დაეწყო მოღვაწეობა.

ხალხის კურთხევის დროს მღვდელს უნდა წარმოეთქვა შემდეგი სიტყვები: გაკურთხოს შენ უფალ-შან და დაგიცვას შენ, გამთაჩინოს შირი თვისი შენზე-და, და შეგიწულოს შენ; მთაქციოს უფალშან პირი თვისი შენზედა და გცეს შენ მშვიდობა. (23—26 მუხ.).) ეს კურთხევა აღნიშნავს დევთის მოწყალების სისრულეს კაცთადმი და, ზოგთა აზრით, გამოხატავს წმ. სამების საიდუმლოს. (თ. 6).

კარვის კურთხევის შემდეგ მთავართა ისრაილისათა შეწირეს კარვის საჭიროებისათვის ექვსი კარვები (დახურული) ურემი ხარებით; ეს ურემი მოსემ გადასცა ლევიტელებს, რომელთაც უნდა დაელაგებინათ მაზედ კარვის ჭურჭელა, რომელიც ხელით სატარებლად სამძიმო იყო; გარდა ამისა ამ პირებმა შესწირეს კიდევ სხვა და სხვა სამსხვერპლო ცხოველებიც. (თ. 7).

არონის და მისი შვილების კურთხევის შემდეგ მალე ლევიტელებიც აკურთხეს; კურთხევის შესრულებამდე ლევიტელნი გაწმიდეს—მოსემ აპ-კურა მათ წყალი განწყდისა, გაპარსა სამართელით მთელი ტანი; ეს იყო ნიშანი სიწმიდისა და სისუფთავისა, რომლითაც ისინი უნდა წარმდგარიყვნენ წინაშე უფლისა სამსახურებლად. შემდეგ ამისა, შეწირეს მსხვერპლათ ორი ზვარაკი, ლევიტელები კი დააყენეს კარვის ეზოში წინაშე ხალხისა; ძეთა ისრაილისთა დაადვეს ლევიტელებზე ხელნი ნიშანად მისა, რომ ისინი შეიწირებიან მსხვერპლად ღვთისადმი მთელი ხალხისგან; შემდეგ ამისა, არონმა მოიყვანა ლევიტელნი კრეტსაბმელთან და წარადგინნა იგინი წინაშე ღვთისა, მათ თაყვანი სცეს კარავს. ლევიტელთა სამსახური განსაზღვრული იყო 25 წლით, ე. ი. ოცდა ხუთი წლადან ორთოცდა ათამდე; ამის შემდეგ კი ლევიტელი თავისუფალი იყო ყოველი სამსახურიდგან და მხოლოდ ყარაულობდა კარავს. (თ. 8).

ქედი აღთქმის იქარქია შესდეგებოდა სამი ხარისხისაგან—1, მღვდელთ-მთავარი, 2, მღვდელი და 3, ლევიტელი. მღვდელთ მთავარს ჰქონდა უფლება შესვლისა წმიდაწმიდათაში, სადაც ასრულებულ-იყვნენ, გარდა მსხვერპლის შეწირვისა, ეკმიათ გუნდრუკი „წმიდაში“, აღნითოთ ყოველდღე სინათლე, ყოველს შაბათს გამოეცვალათ დასაგებელი პურები და ესწავლებინათ ხალხისთვის სჯული

უფლისა. დევიტელნი შეადგენდნენ იერარქიის დაბალს ხარისხს; ისინი მსახურობდნენ კარვის ეზოში, როგორც მღვდელთა თანაშემწენი, მათ დავალებული ჰქონდა დაგვა, დაწმედა კარვის ეზოსი, წყლის მოტანა, შეშის დაჭრა და მოგზაურობის დროს სჯულის კიდობნის და მისი ჭურჭელის გადატან-გადმოტანა.

სინას მთასთან ებრაელებმა იღლესასწაულება პასექი, როგორც მოითხოვდა ამას წესი, გაზაფხულის პირველი თვის მეთოთხმეტე დღის საღამოთი; მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზოგნი ურიათაგანნი წაბილწულ იყვნენ მიცვალებულებთან შეხედვით; ზოგნი კიდევ სხვაგან იყვნენ წასულნი; ამიტომ, ღვთის ბრძანებით, მათ უნდა ეღლესასწაულათ პასექი ერთი თვის შემდეგ, ე. ი. მეორე თვის 14 ჩვეულებრივი წესით. (თ. 9).

ღმერთმა უბრძანა მოსეს გაეკეთებინა ორი ნესტვი ვერცხლისა მოჰქედილი; ეს ნესტვები ებარათ მღვდლებს, არონის შვილებს. ნესტვების დაკვრით უწყებოდათ ხალხს კარავთან სალოცავად შეკრების და სამგზავროდ გამზადების უამი. ხალხის კარავთან სალოცავად ნესტვეს უკრავდნენ მოკლე-მოკლედ; მარტო ერთი ნესტვის დაკვრა მოკლედ იწვევდა მხოლოდ მთავართა და წინამდლოლთა, ორთავესი კი მთელს საზოგადოებას. გაგრძელებული ხმა ორთავე ნესტვეისა ერთად იყო ნიშანი სამრად გამოსვლისა და თითო დაკვრაზე უნდა გამოსულიყვნენ საომრად გამზადებული ბანაკები, ჯერ იუდასი, მერე ბენიამინისა, შემდეგ ეფრემისა და ბოლოს დანისა. დღესასწაულებში კი მოკლედ უკრავდნენ საყვირებს. (თ. 10—1, 10).

გაგრძელება იქნება.

# ● ი ს ე ი დ ე პ ი ა ნ ●

დეკანოზი დაშით ლაპაზიძისაგან შეღვიძლი  
და გამოცხადები:

თბილისში, წერა-კითხვის გამარტინულებილი  
საზოგადოების წიგნის მაღაზიში, უვირილაში—  
«მწყების» ს რედაქციაში.

1. საეკლესიო და ღვთის-მსასურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა  
მესამე. მართლ-მაღიდებელი ეკკლ. უთაე-  
რესი დღესასწაულების ისტორიული მოთ-  
ხობით. ამ ლოცვანში არის მთელი  
წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარა-  
კლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების  
ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს  
თვეოთ მეტყველებაში არიან ჩ როვენი  
საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული  
მოთხობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ.  
ყდით 25 კ. და უყდით . . . . 20 კ.

2. წესი სწორულის ზიარებისა და კრელი პა-  
ნაშეიღისა, ფასი . . . . 10 კ.

3. ცოცხლთა და გარდაცვალებულთა მოსა-  
ხსენებელი კონდაკი (კარგის ყვით) ფ. . 20—

4. ძონუაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყ-  
დით 30 კ. კარგი ყდით . . . . 50 >

5. შემოკლებელი ლოცვანი ანბანით და  
თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-  
კონდაკებით ფ. . . . . 5 >

6. საქართველოს ეკკლესიის წმიდანები რუს. 5 „

2. სასაწვლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის წელებაზე, 30 კ.

2. დაწყებითი გაცემლები საღმრთო სჯუ-  
ლის სახალებაზე ფ. . . . 15—

3. პხალი საუირო კონსატორიათა წეს-  
დებულება—ფასი . . . . 30 კ.

5. მღვაველთა ის საიდუმლოების შესრულების  
დროს თაჭირი ს.ხელმაღვანელო წიგნი—  
ფასი ყდით . . . . . 20 კ

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება პან-  
მოთელობის დაცვაზე.

1. პხალი კარაბაღ ნი, მეორე გამოცემა და-  
მატებით, როდელიც გ.ნხ.ლული, მოწო-

ნებული და წება-დართულია კაცების  
საექიმო რჩევასაგან ყდით ფასი კ. გ. 600 კ.  
უყდით . . . . . 600 კ.

2. დარიგება მშეღველობის დაცვასა და თვა-  
ლების მოვლაზე, ფასი . . . . . 10—

3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის  
საუბარი . . . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები  
და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხო-  
ვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ.  
განმანათლებელი, ფასი. . . . . 15 კ.

2. გელათის მონასტრები და ცხოვრების აღ-  
წერილობა მეფის დაკით აღმაშენებ. . . . . 15 კ.  
იგივე რუსულ ენაზე . . . . . 20 „

3. შიო მღვრის მონასტრები და ცხოვრების  
აღწერა ლიტერისა მამისა ჩევენისა შიოსი 5 კ.

4. გოთავარ-მოწ. დაშით და ძონსტანტი  
და მოწავეთის მონასტრი.—ფასი . . . . . 5 კ.

იგივე რუსულ ენაზე . . . . . 10 კ.

5. ვარძის მონასტრები, ფასი . . . . . 5 კ.

6. მარტვილის მონასტრები . . . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესაწაუ-  
ლების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . . . . . 2—

2. ტაძარი ბიუენება ღვთის-მშობლისა, ფ. . . . . 2—

3. ამაღლება პატიოსნისა და ცხაველის-მყო-

ფელისა ჯვარისა, სურათით . . . . . 2—

4. შობა უფლისა . . . . . 2 კ.

5. მირჩა უფლისა, სურათით.—ფასი . . . . . 2—

6. ხარება უოვლად ჭვილა ღვთის-მშობლისა 2—

7. გზობა სურათით—ფასი . . . . . 2—

8. აღდგომა სურათით—ფასი . . . . . 2—

9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—

10. ხელოუნება ხატის იურიია . . . . . 3 კ.

6. მოწავმენი, ღირსნი მამანი და ღედანი სა-

ქართველოს ეკკლესიისა, შესანიშნავი საქარ-  
თველოს მეფენი და ღედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჭენი, სურათით, ფასი . . . . . 3 კ.

2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი . . . . . 2—

3. მეფე დაკით მესამე აღმაშენებელი . . . . . 5—

4. თამარ მეფე, სურათით . . . . . 5—

|                                    |     |
|------------------------------------|-----|
| 5. გიორგი მთაწმიდელი . . . .       | 10— |
| 6. ოსანე ზედაზნელი . . . .         | 5—  |
| 7. შუშანიკი . . . .                | 1—  |
| 8. ქერევან დედოფალი . . . .        | 2—  |
| 9. არჩილ და ლუარსაბი . . . .       | 5—  |
| 10. წმიდა ნინო რუსულად . . . .     | 8—  |
| 7. რელიგიური და ზნეობრივი შენარჩის |     |

წიგნები და საუბრები:

|                                                                                                            |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ფედერი გლვდელ-მთამარი: ბასილი<br>დიჭი, გრიგორი ღვთის-ეპიტელი და<br>იოანე იოანე მისამი, სურათებით — ფასი | 5— |
| 2. როგორ უნდა ვმარხულოდდეთ — ფასი .                                                                        | 2— |
| 4. პნდრია პირველწოდებული, ისტორიული<br>პოემა აკავისა, ფასი . . . .                                         | 5— |
| 5. სიკედილი მართლისა, კონტორელი პილა-<br>ტეს მეზღლის ჯერილი . . . .                                        | 5— |
| 6 ხმა მოძლერისა სამწყალისადმი. საუბარი შესწაველა<br>იქსო ქრისტესი . . . .                                  | 3— |
| 7 შეილების მოვალეობა მშობელთადმი .                                                                         | 3— |
| 8 მშობლების მოვალეობა შეილთადმი .                                                                          | 3— |
| 9 ვინ არიან ჩენი ცხოვერების მტერნი და როგორ<br>უნდა ესძლიოთ მათ . . . .                                    | 3— |
| 10 იუნჯებლით საუნჯესა ცათაშანა . . . .                                                                     | 3— |
| 11 საუბარი ღვთის სიტყვაზე . . . .                                                                          | 3— |
| 12 — შრომიზე . . . .                                                                                       | 3— |
| 13. სამგვარი სიკვდილი                                                                                      | 5» |

8. მოთხოვბანი დაბადებიდან.

|                                       |      |
|---------------------------------------|------|
| 1. მეუე სოლომონ-პრძენი სურათით — ფ.   | 5—   |
| 2. მათერი (მოთხოვბა დაბადებიდამ) სურ. | 5—   |
| 3. სიბრძნე ისო ძისა ზირაქისა, სურთით. | 5—   |
| 4. იოსები . . . .                     | 5—   |
| 5. მრავალ წამებული იობი . . . .       | 5 კ. |

11. მხატვრობანი სას. და საერთო მოღვაწეთა.

|                          |       |
|--------------------------|-------|
| 1. შოთა რუსთაველი. . . . | 25 კ. |
| 2. აკა წერეთელი . . . .  | 25 კ. |
| 3. თამარ მეფე . . . .    | 25 კ. |

იმექონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები  
და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

სატები და მსატვრობანი.

იმექონებინ პატარი იაფ-ფასინი ხატები ფარგლები  
სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის  
მაცხოვერის, ივერიის ღვთ-ს-მშობლის, წმიდა ვიორ-  
გის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და  
ათორმეტთა ღლესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხა  
ტებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩენის საქართლო-  
ში ყველგან ფოსტის გასაგზანი არა გარდა ფეხი  
ამისთან იმექონება სკელ ქალ-ლაზე ნახატი წმიდა  
ნინასი, საქართველოს განა-ნათლებელისა ვარა იონ  
6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატუ-  
ლი წმიდანი მთავარ-მოწამენი დაეით და კონსტრუ-  
ტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და  
ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმარა-  
ლებელისა და დავით ალმაშენებელისა ფ. თითოსი 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა  
ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30  
კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს და იბარებს არა ნაკლებ  
ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზანს არ იხუსის.

იმექონება აგრეთვე მრავალი პატარა გულ-საიკ-დი  
ხატები ფერგალუვალი ლათონისა, სახელდორი: ნი-  
ნოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით ალმაშენე-  
ბლისა, თამარისა, ან ურია პირველ წოდებულისა და  
წმიდა ვიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ას და-  
იბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზანით დაეთმობა  
სამ მან. ესეთი იმექონებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კ.

უკრანის „მწერების“-ს

სტარბ

(ლ. დ. ლამბაშიძისა)

ილებს ყოველ გვარ საბეჭდავ ზაკაზებს. სტამბა ას-  
რულებს დაკვეთილ სამუშავოს ღროზე, სუფთად და  
პირიან ფასებში.

სტამბა იმჭოფება დაბა ყვირილაში დამბაშიძის საკუთარ  
სახლებში.